



სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის
გენერალური დირექტორის

ბრძანება № 04

2022 წლის 21 იანვარი

ქ. თბილისი

2022 წლის ფუნდამენტური კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების კონკურსის
გამოცხადების, კონკურსის პირობების და საკონკურსო დოკუმენტაციის ფორმების
დამტკიცების შესახებ


„ფუნდამენტური კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 16 თებერვლის N84 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტების, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის N62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე და სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის სამეცნიერო დეპარტამენტის უფროსის 2022 წლის 21 იანვრის სამსახურებრივი ბარათის (N47935) შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. გამოცხადდეს 2022 წლის ფუნდამენტური კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების კონკურსი (შემდგომში კონკურსი).
2. დამტკიცდეს კონკურსის პირობები ამ ბრძანების დანართი N1 -ის შესაბამისად;
3. დამტკიცდეს კრებისთი ინფორმაცია პროექტის შესახებ ამ ბრძანების დანართი N2 -ის შესაბამისად;
4. დამტკიცდეს საპროექტო წინადადების ფორმა ამ ბრძანების დანართი N3-ის შესაბამისად;
5. დამტკიცდეს პროფესიული ბიოგრაფიის ფორმა ამ ბრძანების დანართი N4-ის შესაბამისად;
6. დამტკიცდეს უცხოელი ძირითადი პერსონალის თანხმობის წერილის ფორმა ამ ბრძანების დანართი N5-ის შესაბამისად;
7. დამტკიცდეს პროექტის გეგმა-გრაფიკის ფორმა ამ ბრძანების დანართი N6-ის შესაბამისად;
8. დამტკიცდეს პროექტის ბიუჯეტის და ბიუჯეტის დასაბუთების ფორმა ამ ბრძანების დანართი N7-ის შესაბამისად;
9. დამტკიცდეს თანადაფინანსების ცნობა ამ ბრძანების დანართი N8-ის შესაბამისად;
10. დამტკიცდეს თანხმობის წერილი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გამოყენების შესახებ ამ ბრძანების დანართი N9-ის შესაბამისად;


შემსრულებელი:

ადმინისტრაციული და იურიდიული დეპარტამენტის უფროსის მოადგილე


----- /მარიამ იაშვილი/

შეთანხმებულია:


1. ადმინისტრაციული და იურიდიული დეპარტამენტის უფროსი

----- /ეკატერინე ბუთლიაშვილი/

2. საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსი

----- /მალხაზ ხოფერია/

3. სამეცნიერო დეპარტამენტის უფროსი

----- /ქეთევან გაბიტაშვილი/

11. დამტკიცდეს განცხადების ფორმა კონკურსში მონაწილეობის შესახებ ამ ბრძანების დანართი N10-ის შესაბამისად;
12. დამტკიცდეს სამეცნიერო მიმართულებების კლასიფიკატორი ამ ბრძანების დანართი N11-ის შესაბამისად;
13. დამტკიცდეს საბიუჯეტო ხარჯების კლასიფიკაცია ამ ბრძანების დანართი N12-ის შესაბამისად;
14. კონკურსის კოორდინატორებად განისაზღვრონ სამეცნიერო დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი - ლანა დავითულიანი და სპეციალისტი ანა ფოლოდაშვილი. ადმინისტრაციული და იურიდიული დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი - თამარ აზარიაშვილი.
15. კონკურსის კონსულტანტად იურიდიულ საკითხებში განისაზღვროს ადმინისტრაციული და იურიდიული დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი - თამარ აზარიაშვილი, ხოლო პროექტის ბიუჯეტთან დაკავშირებულ საკითხებზე კონსულტანტებად განისაზღვრონ სამეცნიერო დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტები - ანა კობერიძე და სალომე ოდიშვილი.
16. დაევალოს სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს წინამდებარე ბრძანების განთავსება ფონდის ვებგვერდზე;
17. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.
18. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6).

ჯაბა სამუშია

